ხელშეკრულება №97
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 18 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"(ს/კ 417874973) (შემდგომში – „შემსყიდველი"), მისი დირექტორის გიორგი ტულუშის სახით და მეორეს მხრივ ფიზ.პირი ზურაბ ბასიაშვილის (პირ.ნომერი59001045741) (შემდგომში – მიმწოდებელი) სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"-ს საკუთარი სახსრებით მანქანის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების (CPV50112000) გამარტივებული შესყიდვა მოთხოვნის შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1შესყიდვის ობიექტია: მინდვრის საკრეჭი მანქანის შეკეთება.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2შესყიდვის მომსახურების ღირებულება შეადგენს 275 (ორასსამოცდათხუთმეტი) ლარს. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საშემოსავლო გადასახადის 20 %-ს .საშემოსავლო გადასახადს იხდის შემსყიდველი ორგანიზაცია.ხელზე ასაღები თანხაა 220 (ორასოცი)ლარი.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1.შესყიდვის ობიექტის მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 20 ივლისის ჩათვლით.

4.2.შესყიდვის ობიექტის მომსახურების ადგილია ქ.გორი სულხან საბას I.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტის მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შესყიდვის ობიექტის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 საბანკო დღეში.

6.3. ანაზღაურების ადგილია ქ.გორი გურამიშვილის ქ.5

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო 0.2%-ის ოდენობით..

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების

პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდული საქონელის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება,რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან დაშემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას და საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze“ –ს ინფრასტრუქტურის მენეჯერი თენგიზ ბურჯანაძე.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GoriCITI HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz – Burjanadze”
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი-სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22 ს/კ 417874973

დირექტორი

გიორგი ტუდუში

„მიმწოდებელი“

ფიზ.პირი ზურაბ ბასიაშვილი
მისამართი ქ.გორი სულხან საბას 1.
საბან.რეკვიზიტები სს ლიბერთი ბანკი
LBRTGE22
ანგ №GE92LB0711164104331000
ს.კ 59001045741

ზურაბ ბასიაშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. გორი

18 ივლისი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებ, რომ მანქანის შეკეთების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება, ,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ფიზ.პირი ზურაბ ბასიაშვილთან ინტერესთა კომფლიქტში არ ვიმყოფებით.

ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"-ს დირექტორი — გიორგი ტულუში

ინფრასტრუქტურის მენეჯერი — თენგიზ ბურჯანაძე

შესიდვების კოორდინატორი — სვეტლანა ზაუტაშვილი